საქსტატის ფუნქციები:

- სტატისტიკის სფეროში ერთიანი პოლიტიკის შემუშავება და თავის ტერიტორიულ და სტატისტიკის მწარმოებელ სხვა ორგანოებთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა;
- სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის შემუშავება და საქართველოს მთავრობისათვის დასამტკიცებლად წარდგენა;
- მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ჩატარება;
- სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული სტატისტიკური საქმიანობა, რომელიც მოიცავს:
- სტატისტიკური კვლევების ჩატარებას;
- ადმინისტრაციულ მონაცემთა დამუშავებას ექსკლუზიურად, სტატისტიკური მიზნით;
- დაკვირვების ერთეულის შესახებ მონაცემთა დამუშავებას;
- სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნებასთან დაკავშირებული გრაფიკის შემუშავებას და მისი საჯაროობის უზრუნველყოფას;
- გამოქვეყნებული გრაფიკის მიხედვით სტატისტიკური მონაცემების გავრცელებას და ყველა მომხმარებლისათვის მათი თანაბრად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას;
- საერთაშორისო ანალოგების შესაბამისი სტატისტიკური მეთოდოლოგიისა და სტანდარტების შემუშავებას, მათი დანერგვის ხელშეწყობას და ხარისხის უზრუნველყოფას;
- ყოველწლიური საქმიანობის ანგარიშის მომზადება;
- სტატისტიკის ტერიტორიული ორგანოების შექმნა და მათი სამოქმედო არეალის განსაზღვრა;
- ,,ოფიციალური სტატისტიკის შესახებ" საქართველოს კანონით, ამ დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საქმიანობის განხორციელება.